რელიგიის როლი თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაში

მაკა მსხილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე გავაშელიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2024

განცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი
წარმოადგენს ჩემს ორიგინალურნამუშევარს და არშეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე
გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილმასალებს,
რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების
შესაბამისად.

მაკა მსხილაძე
18.01.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ემსახურება თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების შეხედულებებისა და პრაქტიკების მიმოხილვას რელიგიასთან დაკავშირებით. კვლევის მთავარ კითხვაზე თუ რა როლი უჭირავს რელიგიას თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაში? პასუხის გასაცემად ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები 14 სხვადასხვა სქესის, ასაკისა და რელიგიური აღმსარებლობის რესპონდენტთან, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განხილული იქნება ისეთი საკითხები, როგორებიცაა მართლმადიდებლობის როლი ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაში, უნდობლობა მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ, ოჯახის წევრების დამოკიდებულებების მნიშვნელობა რელიგიასთან დაკავშირებული შეხედულებების ფორმირების პროცესში, ღმერთის აღქმა სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე რესპონდენტთა მიერ, შეხედულებების ცვლილება სწავლის განსხვავებულ საფეხურებზე დაყრდნობით. აღნიშნულ საკითხებზე საუბარი შესაძლებელი ხდება ლიტერატურული მიმოხილვის ფარგლებში გამოყენებული სხვადასხვა მიმართულების წყაროებსა და თეორიული ჩარჩოს საფუძველზე. როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რესპონდენტების დიდი ნაწილისთვის რეგულარული რელიგიური პრაქტიკები არადამახასიათებელია, ამასთან მაღალი ნდობა მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც სტრუქტურის მიმართ არ გამოუხატავს არცერთ რესპონდენტს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათი უმეტესობა არარელიგიურია. ოჯახის როლი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში მართლაც საკმაოდ დიდია, თუმცა იგი ვერ ახდენს რელიგიური პრაქტიკების აწმყოში განხორციელების უზრუნველყოფას. ამას გარდა მკაფიოდ გამოიკვეთა დამოკიდებულებების ცვლა სკოლიდან უნივერსიტეტში გადასვლის შემდეგ, რაშიც როლს თამაშობს როგორც მრავალფეროვან სასწავლო მასალასთან გაცნობა, ისე უშუალო საკონტაქტო წრის ცვლილება, ანუ ახალ საზოგადოებაში შესვლა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რელიგია ყოველდღიურობაში, ჩვეული პრაქტიკები, მართლმადიდებლური ქრისტიანობა, ოჯახის დამოკიდებულების მნიშვნელობა, პლურალიზმი

Abstract

The following work serves as an overview of the views and practices of young people living in Tbilisi towards religion. The main question of the research is what is the role of religion in the daily life of young people living in Tbilisi? In order to answer this, a qualitative study was conducted with 14 respondents of different genders, ages, and religious beliefs. Based on the information received, issues such as the role of Orthodoxy in the daily life of young people, mistrust of the Orthodox Church, the importance of family members' attitudes in the process of forming beliefs related to religion, perception of God by respondents with different faiths, changes in beliefs based on different levels of education will be discussed. It becomes possible to talk about the mentioned issues based on the sources and theoretical framework of different fields used within the literature review. As it became clear from the results, regular religious practices are uncharacteristic for a large part of the respondents, and high trust in the Orthodox Church as a structure was not shown by any of the respondents, although this does not mean that most of the respondents are non-religious. The role of the family in the formation of attitudes is indeed quite large, although it cannot ensure the implementation of religious practices in the present. In addition, the change of attitudes after the transition from school to university was clearly identified, in which both familiarization with various educational materials and leaving the immediate circle of contact, i.e. entering a new society, plays a role.

Keywords: Lived Religion, Casual practices, Orthodox Christianity, The importance of family attitude, Pluralism

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ელენე გავაშელიშვილს, რომელმაც გულისყურით მოისმინა ჩემი იდეები, იყო პირველი ვინც დაინახა აკადემიური პოტენციალი თემაში და მომცა გამბედაობა მემუშავა ამდენად ფაქიზ საკითხზე.

მადლობა ჩემს რესპონდენტებს, რომლებმაც დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ხშირად მათთვის ერთადერთ ხელმისაწვდომ თავისუფალ დროს, საღამოს საათებში დამითმეს დრო და ღიად მესაუბრნენ ისეთ პირად საკითხზე, როგორსაც რელიგია წარმოადგენს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს მეგობარ ელენე გოგოლაძეს, რომელმაც უდიდესი მორალური მხარდაჭერა გამიწია, მომცა რჩევები და ამასთანავე დამეხმარა მონაცემების შეგროვების ეტაპზე.